ლილე ჭელიძე

ინგლისურენოვანი ბიზნეს ადმინისტრირების
საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი, საფრანგეთი

საერთაშაშორისო გარემოში სწავლა სტუდენტისთვის ერთ-ერთი გამორჩეული, გამოწვევებით სავსე და გარდამტეხი პერიოდია, როდესაც ყოველდღე ამჩნევ თუ როგორ იზრდები, ვითარდები და ხდები ადამიანი,რომლის შექმნაზეც თავდაუზოგავად შრომობდი.

ჩემთვის ეს გამოცდილება დაკავშირებულია საფრანგეთის ქალაქ ლილში გატარებულ პერიოდთან, სადაც მქონდა შესაძლებლობა, მესწავლა ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში, IESEG - ის მენეჯმენტის სკოლაში, ერთ-ერთ წამყვან ფრანგულ ბიზნეს სკოლაში, რომელიც ცნობილია უმაღლესი აკადემიური ხარისხითა და გამორჩეული პროფესორებით. სწორედ ამ გარემომ იქონია დადებითი გავლენა ჩემს აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე. შევძელი ჩემი პროფესიის უკეთ გაცნობა, მივიღე პრაქტიკული ცოდნა და საერთაშორისო გამოცდილება. ამავდროულად, შევხვდი სტუდენტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ვისგანაც ბევრი ვისწავლე, მრავალფეროვანი კულტურული გამოცდილება შევიძინე და დაუვიწყარი მომენტები გავიზიარე.

"'Lile in Lille"- ეს ფრაზა და ლილში გატარებული დრო ჩემთვის დარჩება, როგორც განსაკუთრებული ეტაპი, რომელმაც დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანია თვითრწმენა, გამბედაობა და სიმტკიცე საკუთარი მიზნების მისაღწევად.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო კავკასიის უნივერსიტეტს, რომლის მხარდაჭერამ უნიკალური შესაძლებლობები მომცა ჩემი აკადემიური და პიროვნული განვითარებისათვის. ამასთან, დღეს, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, ვაგრძელებ სწავლას ქალაქ კრაკოვში, რაც საშუალებას მაძლევს ყოველდღიურად შევეჭიდო ახალ გამოწვევებს და კიდევ უფრო გავაძლიერო ჩემი ცოდნა, უნარები და გამოცდილება.